სასწავლო ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზება სკოლის მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით - ელექტრონული მართვის სისტემა "სქულბუქის" მაგალითზე

მარიამ ქუთელია

ზესიკ ბრეგვაძე

ირაკლი თაბაგარი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტირების (მენჯმენტის) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - ნიკოლოზ ქოიავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2018)

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.’’

მარიამ ქუთელია ----------

ბესიკ ბრეგვაძე ----------

ირაკლი თაბაგარი ----------

18.06.2018

აბსტრაქტი

საქართველოს მთავრობას ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არჩეული აქვს განათლების სფერო, რომლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. აღნიშნული კუთხით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის გასულ წლებში განხორციელდა ეროვნული სასწავლო გეგმის განახლება სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული მოდელების გათვალისწინებით, დაინერგა უსაფრთხო სკოლის სტანდარტი და განვითარდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. მიუხედავად ამისა, სასკოლო დაწესებულებებში მენეჯმენტის მიერ ვერ ხერხდება კანონმდებლობითა და ეროვნული სასწავლო გეგმით დამტკიცებული ფუნქციების ეფექტურად შესრულება და სავალდებულო სასწავლო ადმინისტრაციულ პროცესებზე იხარჯება საკმაოდ დიდი დროითი რესურსი, იმ მიზეზით, რომ სკოლაში არ არსებობს დროითი რესურსის დაზოგვის შესაბამისი ინსტრუმენტები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზირების შედეგად დაზოგილი დროითი რესურსის გამოვლენა (პროგრამა „სქულბუქის“ მაგალითზე). კვლევის ამოცანაა: დღეის მდგომარეობით არსებული პროცესებისა და ავტომატიზირების შემდგომ მიღებული პროცესების შედარება, დაზოგილი დროის რესურსის განსასაზღვრად. ნაშრომი მოიაზრება რაოდენობრივი და კომპარატიული კვლევის კატეგორიაში და ამ კუთხით განიხილავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ და ავტომატიზირების შედეგად მიღებულ პროცესებს.

კვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემებით დადგინდა თითოეული პროცესისათვის და მისი შემადგენელი ბიჯებისათვის საჭირო დროითი რესურსი (წუთებში). კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ საქართველოში არსებული კერძო და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ავტომატიზირების მეშვეობით დაზოგავენ მნიშვნელოვან დროით რესურსს სასწავლო ადმინისტრაციული პროცესებზე, რაც თავის მხრივ იქნება ხელშემწყობი ფაქტორი სკოლის მენეჯმენტის ეფექტური მუშაობის.

საძიებო სიტყვები: ავტომატიზირება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სკოლის მენეჯმენტი, სქულბუქი.

Abstract

The Government of Georgia has selected education field as one of the priority directions, for the purpose of improving the quality of which it implements various projects. In this regard, taking the successful models of different countries into consideration, for the general educational institutions the National Curriculum has been updated in the past years, a safe school standard has been introduced and special educational needs have been developed. Nevertheless, management in schools is not be able to effectively implement the functions approved by the legislation and the National Curriculum yet and a lot of time resources are spent on mandatory educational and administrative processes because there are no time-saving mechanisms available at school.

The purpose of the research is to identify the time resources saved as a result of automation of educational and administrative processes in general educational institutions (based on the example of the program "SCHOOLBOOK"). The goal of the research is to compare existing processes and processes after automation in order to determine the saved time resources. The work is considered in the Quantitative and Comparative Study category and discusses the processes existing in the general educational institution and processes adopted as a result of automation, in this regard.

Based on the data obtained on the basis of the survey, the time needed for each process and the time required for its stages (in minutes) have been determined. As a result of the research, it was possible to prove, that private and public secondary educational institutions in Georgia will be able to save time and energy on educational and administrative processes through automation, which will be a facilitating factor for effective work of school management.

Search keywords: automation, general educational institution, school management, SCHOOLBOOK